

ინსტრუქცია და გაფრთხილება

ინფორმაცია პროდუქტზე

ლეგიში პროდუქტის შექმნისა და განვითარების პროცესი უწყვეტია, შესაბამისად თუ დაინტერესდებით შექმნილი, უმჯობესია ინფორმაცია გადაამოწმოთ კომპანიასთან, რათა დააზუსტოთ განახლებული დეტალები.

პროდუქტის შემოწმება მიწოდებისთანავე

მნიშვნელოვანია, რომ მიღებული პროდუქტი გამოყენებამდე გულდასმით შემოწმდეს, რათა შემდეგ ეტაპზე პრობლემის შექმნის ალბათობა აღმოიფხვრას დროულად. ნებისმიერი სახის დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, უმჯობესია მაშინვე აცნობოთ მომწოდებელ კომპანიას.

თუ მომხმარებელი თავისი სურვილით აითვისებს ისეთ პროდუქტს, რომელსაც დაგებაზე აშკარად გამოხატული ჰქონდა გარკვეული სახის დეფექტი, მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მომხმარებელს.

დაგება

ჩვენ მიერ წარმოებული პროდუქტის დაგება მიმდინარეობს BS 7533 სტანდარტზე დაყრდნობით.

ფერი და ტექსტურა

ლეგი აწარმოებს უმაღლესი ხარისხის მოსაპირკეთებელ და სამშენებლო ბეტონის ნაკეთობებს, რომლებიც გამოირჩევა სიმყარითა და გამძლეობით. თითოეული მათგანი: ფილა მიქსი, მოდერნი, ძველი ქალაქი, რომბი, პრომენადი, პარკის, საგზაო თუ ტროტუარის საბორტე ქვები და სხვა - შექმნილია ბუნებრივი გზით მოპოვებული ნედლეულით.

ჩვენ გვაქვს ფერის კონტროლის რამდენიმე პროცედურა, თუმცა ვასაბუნებისწინებელია, რომ სხვადასხვა დროს წარმოებულ პროდუქტს შორის შესაძლოა, იყოს ფერთა მცირედი სხვაობა. ეს ნორმალური პროცესია და პროდუქტის ბუნებრიობას უსვამს ხაზს. შესაბამისად, როდესაც საჭიროა ერთი კონკრეტული სივრცის, ღობის, ან ფასადის მოპირკეთება, პრიორიტეტია რომ პროდუქტის შეკვეთა და შემდეგ მიწოდება მოხდეს წარმოების ერთი სერიიდან.

იმისათვის, რომ მოპირკეთებისას ფერები თანაბრად გადახანტილდეს, რეკომენდირებულია, ფილების დიაგონალური და ვერტიკალური მიმართულებით ერთდროულად ამოღება და შერევა მინიმუმ სამი პალეტიდან. განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში თუ პროდუქტი წარმოებულია სხვადასხვა დროს. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს ფერების, ტექსტურისა და ჩრდილების თანაბარ განაწილებას მთელ სივრცეზე.

ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც სივრცის მოპირკეთება ხდება ისეთი ფილებით როგორცაა: ციტრინი, ქარვა, კაპუჩინო, იასპერი და ა.შ. ამიტომ ჩვენ ყოველთვის გავცემთ რეკომენდაციას, რომ კომპანიას ერთობლივად მივწოდოთ ინფორმაცია შეკვეთის სრულ მოცულობაზე, რათა პროდუქტი ინარჩუნოს ერთ ეტაპად.

ყველა ილუსტრაცია, რაც ასახულია ჩვენს კატალოგსა და ვებ გვერდზე რეალურია, თუმცა უმჯობესია ორიგინალი ნიმუშები დაათვალიეროთ საწარმოს შოურუმში, რადგან ილუსტრაცია ვერ იქნება რეალურის ანალოგი.

შენიშვნა: ეს ფაქტი მხედველობაში უნდა მივიღოთ განხილვისას და არასტანდარტული პროდუქტების შემთხვევაშიც: დეკორატიული ბოძის, დეკორატიული აბურის, ღობის - სვეტის ჭურჭლის და ა.შ.

დალაქაქება

ზოგიერთი ქიმიური ნივთიერება, რომელიც საჭიროებებიდან გამოდინარე ხშირად გამოიყენება გარე სივრცეებსა და ბალებში, შესაძლოა შეიცავდეს რკინის სულფატს. თუ ეს ნივთიერება აღმოჩნდება ბეტონის პროდუქტზე, საჭიროა მომენტალურად გაიწმინდოს ცხელი წყლით. ასევე რეგულარული წმენდა რეკომენდებულია ჭუჭყის, ფოთლებისა და ნარჩენების მოსაშორებლად. იმისათვის რომ წმენდის პროცესი გახდეს უფრო ეფექტური, უმჯობესია ცხელი წყლისა და ჯავრის გამოყენება.

ტენიანობა

ბეტონის ნაკეთობების დაგების შემდეგ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა ადგილ-ადგილ გაჩნდეს კონკრეტული კერა, რომელსაც უფრო მეტი შეფერილობა ექნება, რაც ლაქოვან იერახეს სძენს. ეს გამოწვეულია ქვეშსაგების: ბეტონისა თუ მიწის ზედაპირის ტენიანობით. მაგალითად, ბეტონის შემთხვევაში მისი გაშრობის პროცესი გრძელდება დასხმის შემდეგაც. თუმცა ეს ყოველივე პრობლემას არ წარმოადგენს და არც გრძელვადიანი პროცესია. რამდენიმე დღის განმავლობაში კარგი ამინდი ავტომატურად ამოაშრობს ნესტიან კერებს.

თეთრი ლაქები (მარილები)

შესაძლოა, ფილების ზედაპირზე შეამჩნიოთ მცირე სითეთრე. ეს ბუნებრივი წარმოშობის კრისტალებია და ფილისა და ცემენტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ისინი ძირითადად ამინდის მკვეთრი ცვლილების დროს ჩნდება. ლეგი ამ პროცესის საწინააღმდეგოდ იყენებს ბაზარზე არსებულ მონიავე ტექნოლოგიას, თუმცა ბუნებრივი მოვლენების უარყოფა პრაქტიკულად შეუძლებელია. ევროპასა და ამერიკაში ეს სტანდარტად მიიჩნევა და მისი აღმოფხვრაც ავტომატურად, ჩარევის გარეშე ხდება. ამიტომ, უმჯობესია თეთრი ლაქების მოშორებას თავად არ ეყადოთ, ეს შეიძლება უარყოფითად აისახოს ფილების მდგომარეობაზე და დააზიანოს მისი ზედაპირი.

ნაკანონები ზედაპირზე

პროდუქტის ზედაპირზე მცირე ნაკანონები შესაძლოა გაჩნდეს პროდუქტის გადატანის, ადგილზე მიტანის ან დაგების დროს. თუმცა ლეგის გამოცდილებით, ეს ნიშნები ზედაპირიდან დროთა განმავლობაში ქრება. ნაკანონების წარმოქმნის ალბათობა რომ შემცირდეს, გამოიყენეთ მექანიზმი, რომელსაც ქვედა მხარეს მიმაგრებული ექნება რეზინის ხალიჩა.

შეკვეთა

დროის კარგვა რომ აირიდოთ თავიდან, შეკვეთის გაფორმებამდე პირველ რიგში დარწმუნდით, რომ თქვენმა კონტრაქტორმა სწორად აზომა ტერიტორია. ლეგი თავისი გამოცდილებით მაინც გირჩევთ, რომ შეუკვეთოთ საჭიროებს 2-5% ით შეტი მოცულობის პროდუქტი, რათა დაზღვეული იყოთ გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან.

მოვლა/დასუფთვა

პირვანდელი სახის მაქსიმალურად შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია მათი სათანადო წესით წმენდა. ასევე, გარემო პირობებიდან გამომდინარე, შესაძლოა ნებისმიერი სახის ბეტონის პროდუქტზე გაიზარდოს მცენარეები და ბალახები, რაც ზედაპირის დასუფთავებას კიდევ უფრო საჭიროს ხდის. გაითვალისწინეთ, რომ ღია ფერის ფილებს უფრო მეტად ეტყობა მანქანის ზეთის ლაქები და საბურავების კვალი. შესაბამისად, ასეთი ფილა უფრო მეტ მოვლას საჭიროებს, რათა ხანგრძლივად შეინარჩუნოს იერსახე.

ძირითადი პირობები (მოსაპირკეთებელი პროდუქტი)

ფილებით მოპირკეთების პროცესში მნიშვნელოვანია ასაზომი ძაფის გამოყენება, რათა ზედაპირის ერთი სიმაღლე შენარჩუნდეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ფაქტორია დაგებისას ფილებს შორის დაშორება იყოს დაახლოებით 2-5 მმ, რომელიც შემდეგ უნდა ამოივსოს ზემოდან მოყრილი ქვიშით, რათა მიეცეს სიმყარე.

ფილებს შორის სივრცის ქვიშით ამოვსება

ბოლო ეტაპზე უკვე დაგებულ ფილებს შორის სივრცის შესავსებად, ზედაპირზე უნდა მოიყაროს **კარგად გარეცხილი, 0.3მმ ფრაქციის დონემდე დამტვრეული ქვა/ქვიშა, მტვრისა და ბინძური მინარევების გარეშე**. აუცილებელია, ამ რეკომენდაციის დაცვა, რათა უნებურად არ დააზიანოთ ფილის პიგმენტი.

გაფრთხილება: გაითვალისწინეთ, რომ ლეგი რეკომენდაციას გასცემს მხოლოდ ზამთარში ხანაზე დასრულებულ შემთხვევაში. ისეთი ქვიშის გამოყენება, რომელიც არ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს, უარყოფით გავლენას იქონიებს ფილის შეფერილობაზე. შესაძლოა დაზიანდეს ზედაპირი ან გააზიანდოს ყურადღება ამ ეტაპზე, მაგრამ იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ ფილის დაზიანება, თქვენი პასუხისმგებლობაა, დარწმუნდეთ, რომ ისინი არ იყენებენ გასაყვას და მოთხოვნებთან შეუსაბამო ქვიშას.